ეროვნული ბიბლიოთეკა

JEUX OLYMPIQUES D'HIVER GRENOBLE 1968

ოტრანის „ვერცხლი“ და „ბრინჯაო“

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 30 (3514) 13 1968 წ. თებერვალი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

ზამთრის X ოლიმპიური თამაშები

საბედისწერო გასროლა

თანამედროვე ზამთრის ორჭიდში (ბიატლონი) სსრ კავშირის სპორტსმენები საერთაშორისო სარბიელზე მუდამ წარმატებით გამოდიან. გვყავს მსოფლიოსა და ოლიმპიადის ჩემპიონები, პრიზიორები. მათგან მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი, ნოვოსიბირსკელი ასპირანტი ვ. მამატოვი გრენობლშიც ცდიდა ძალას. თეთრ ოლიმპიადაზე მას გვერდს უმშვენებდნენ შარშანდელი მსოფლიო ჩემპიონატის II პრიზიორი ესტაფეტაში, ლენინგრადელი მასწავლებელი ნ. პუზანოვი და ახალგაზრდები — 20 წლის ნოვოსიბირსკელი მეფოლადე ა. ტიხონოვი და 23 წლის მოსკოველი არმიელი ვ. გუნდარცევი: აი, ის ოთხეული, რომელსაც X ოლიმპიადაში სსრ კავშირის სპორტული ღირსების დაცვა დაევალა.

ჩვენი სპორტსმენების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ გამოცდა ჩინებულად ჩააბარეს — საბოლოოდ ოთხივემ ათეულში დაიმკვიდრა ადგილი. ტიხონოვს რომ არ ეჩქარა და პირველივე პოზიციაზე ტყვია სამიზნისთვის არ დაეცდინა, იქნებ ჩემპიონიც გვყოლოდა. ამ დაუდევარი, საბედისწერო გასროლისთვის იგი 2 წუთით დაჯარიმდა. შემდეგში ტიხონოვმა სწრაფადაც ირბინა და ზუსტადაც ისროლა, მაგრამ დანაკარგი ველარ აინაზღაურა. როცა მსაჯებმა შედეგები დაითვალეს, ტიხონოვის მაჩვენებელი ასეთი აღმოჩნდა — 1 საათი, 12 წუთი, 40,4 წამი (ამას მიუმატეთ 2 საჯარიმო წუთი). თავისთავად ეს წარუმატებლობა როდია, მაგრამ მჯობნის მჯობნი არც ბიატლონისტებს დაელიათ: ნორვეგიელმა მ. სოლბერგმა რბენაში უარესი (1:13.45,9) შედეგი აჩვენა, მაგრამ მისი ტყვია არ ასცდენია მიზანს და ცხადია, სპორტსმენი არც დაჯარიმებულა.

ჩემპიონობა მოიპოვა სოლბერგმა. ტიხონოვი ვერცხლის მედალს დასჯერდა. სამაგიეროდ, ბრინჯაოს მედალიც საბჭოთა სპორტსმენს ვ. გუნდარცევს ხვდა — 1:18.27,4.

ნ. პუზანოვი და ვ. მამატოვი VI და VII ადგილებზე გავიდნენ. გრენობლის ტურნირში ასეთი წარმატება საბჭოთა გუნდებს არც ერთ სახეობაში არ მოუპოვებიათ. ეს კი იმედს იძლევა, რომ ჩვენი ქვეყნის ბიატლონისტები გუნდურ ჩათვლაში (ესტაფეტაში) გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები იქნებიან.

• • •

სურათებზე: ზევით — ა. ტიხონოვი საცეცხლე პოზიციაზე, ქვევით — ვ. გუნდარცევი.

ფოტო ე. ვოლკოვისა და ვ. გალაქტიონოვისა.

ორი გუნდი დაუმარცხებლად

ჰოკეისტთა ოლიმპიურ ტურნირში ორი კოლექტივი იბრძვის დაუმარცხებლად. ესენი არიან სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. ეს უკანასკნელი გუშინ შეხვდა გდრ-ის ნაკრებს. მატჩი უინტერესო გამოდგა. ჩეხოსლოვაკიელები გაცილებით ძლიერად თამაშობდნენ და არავის ეჭვებდა მათი იოლი გამარჯვება. ეს ასეც მოხდა. მატჩი მოიგო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებმა — 10:3.

დღეისათვის სატურნირო ცხრილში ორხელისუფლებიანობაა — სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებმა ქულათა მაქსიმუმი — 8 დააგროვეს. თუმცა ჩვენებს გატანილი და მიღებული შაიბების უკეთესი სხვაობა აქვთ. დიდ ინტერესს იწვევს დღევანდელი მატჩები — სსრ კავშირი — შვეცია და კანადა — ჩეხოსლოვაკია.

ჩემპიონს — მაღალი წოდება

500 მეტრზე ციგურაობაში ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელს, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის V კურსის სტუდენტს ლ. ტიტოვას სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭოს დადგენილებით მიენიჭა სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება.

ლენინგრადული „მეჯლისის“ ლაურეატები

არც ისე დიდი ხნის წინ ინდოეთის ქალაქებიდან სასიხარულო ცნობები მოგვდიოდა ალექსანდრე მეტრეველის გამარჯვებებზე. მან იქ სამ დიდ საერთაშორისო ტურნირში დაისაკუთრა უძლეველის სახელი. შემდეგ მეტრეველმა კოპენჰაგენს მიაშურა სკანდინავიის ქვეყნების ღია ტურნირში სასპარეზოდ. იქ საბჭოთა ჩოგბურთელმა ერთგვარად წაიბორძიკა, ერთეულებში II ადგილს დასჯერდა და თითქოს შეანელა გულშემატკივართა ემოციები. სკანდინავიაში ასპარეზობის დამთავრების შემდეგ მეტრეველმა გეზი ლენინგრადისკენ აიღო და მაშინვე ჩაება ჩოგბურთელთა ზამთრის საკავშირო პირად პირველობაში.

ლენინგრადულ „მეჯლისზე“ მეტრეველს არც ისე სტუმართმოყვრულად შეხვდნენ მეტოქეები, მაგრამ ჩვენი ქვეყნის პირველმა ჩოგანმა ოსტატურად გაიკაფა გზა ფინალისკენ. მან გადამწყვეტ ბრძოლაში ფარ-ხმალი დააყრევინა თავის ძველ მეტოქეს ლეიუსს — 6:3, 6:4, 3:6, 6:3. ერთეულებში III საპრიზო ადგილისთვის იბრძოდა თბილისელი კაკულია. მან კარგად დაიწყო შეხვედრა მოსკოველ ეგოროვთან, პირველი პარტია მოიგო (6:3), მაგრამ მომდევნო ორი ხელი დათმო (5:7, 3:6) და საბოლოოდ IV ადგილს დასჯერდა.

ქალთა ერთეულების ფინალში იმარჯვა ბაკშეევამ, რომელმაც მთროზოვა დაამარცხა — 6:3, 1:6, 6:2.

დაძაბული იყო ვაჟთა წყვილების ფინალური შეხვედრა. მეტრეველისა და ლიხაჩოვის წინააღმდეგ მედგრად იბრძოდნენ ეგოროვი და კოროტკოვი. ამის საილუსტრაციოდ ისიც კმარა, რომ მეტრეველმა და ლიხაჩოვმა პირველი პარტია მოიგეს ანგარიშით 17:15! ეს იყო მართლაც მომქანცველი მარათონი და მათ ალბათ სწორედ ამიტომ დათმეს მომდევნო ორი ხელი — 7:9, 3:6. წაგების ზღურბლთან მისული მეტრეველი და ლიხაჩოვი კვლავ ჩვეული ძალით ათამაშდნენ. საბოლოოდ ეს უკომპრომისო და მეტად საინტერესო მატჩი მათი გამარჯვებით დამთავრდა (6:2, 7:5).

ქალთა წყვილების ფინალში ტოლი არ ჰყავდათ ბაკშეევასა და დმიტრიევას, რომლებმაც დაამარცხეს ისლანოვა და ჩუვირინა — 6:4, 6:1.

შერეულ წყვილთა ასპარეზობაში მონაწილეობაზე მეტრეველმა უარი თქვა. აქ ფინალში გავიდნენ ჩუვირინა — კოროტკოვი და ისლანოვა — ლიხაჩოვი. გაიმარჯვა პირველმა წყვილმა — 3:6, 10:8, 6:3.

სურათებზე: მარცხნივ — ა. მეტრეველი, მარჯვნივ — გ. ბაკშეევა.



სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

ლენინგრადმა ესტაფეტა ჩამოართვა კიევს

ჩვენი კორესპონდენტი

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ბოლო მატჩებმა შესამჩნევად შესცვალა სატურნირო ცხრილის ზედა პოლუსების სახე. ნელ-ნელა დაემხო უკრაინული გუნდების ორხელისუფლებიანობა. ჯერ იყო და ლიდერის მაისური დათმო ბოლო საკავშირო პირველობების უცვლელმა ვიცე-ჩემპიონმა „სტროიტელმა“. ერთხანს იგი ლიდერთა სამეულს შემორჩა, შემდეგ კი სატურნირო იერარქიის უფრო დაბალ საფეხურზე დაეშვა. მალე „სტროიტელის“ კვალს გაჰყვა კიევის არმიელთა გუნდიც, რომელმაც დღეისთვის მხოლოდ მეოთხე საფეხურზე მოიკიდა ფეხი.

უკრაინელი კალათბურთელებისთვის ამ უსიამოვნო პროცესს ერთი ახსნა აქვს. „სტროიტელმაც“ და არმიელთა გუნდმაც შინ ქულების მაქსიმუმი დააგროვეს. ამან მათ ცხრილის უმაღლეს საფეხურზე დიდი ხნით დარჩენის საშუალება მისცა. მაგრამ, აი, დადგა ხანგრძლივი, მომქანცველი მოგზაურობის დღეები, და შედეგთა ხარისხიც მკვეთრად დაეცა. თავის დროზე ასეთი რამ ჩემპიონატის სხვა მონაწილეებმაც განიცადეს, ასე რომ, გასაკვირი აქ არაფერია. მთავარია, გაუძლო სირთულეებს და მონახო შინაგანი ძალა იმისთვის, რომ ძნელი გამოცდა სხვებზე უფრო უკეთ ჩააბარო. ვინც ამას შეძლებს, ჩემპიონიც ის გახდება.

ბოლო საკალათბურთო კვირის მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა გახლავთ ცვლილება, რაც აუტსაიდერთა შორის მოხდა. ბაქოს „ბურევესტნიკმა“ ბოლოსდაბოლოს დატოვა სატურნირო ცხრილის ყველაზე ქვედა სტრიქონი და დაბალ ლიგაში გადასვლის უსიამოვნო მისია დროებით სვერდლოვსკის „ურალმაშს“ გადაულოცა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანელებმა საკუთარ მოედანზე ზედიზედ ორი დამარცხება მიაყენეს ურალელ კალათბურთელებს. მაგრამ მოკვადრაკეების ენით რომ ვთქვათ, „ბურევესტნიკი“ ამ შეხვედრებში თეთრებით თამაშობდა. გავა დრო და აზერბაიჯანელები საპასუხო ვიზიტით ეწვევიან სვერდლოვსკს. და აი, აქაც თუ შეძლეს მათ ბაქოს წარმატების განმეორება, შეიძლება დარწმუნებით ვთქვათ, რომ „ა“ კლასს ისინი აღარ დატოვებენ. მანამდე კი მარჩიელობა ძნელიცაა და სახიფათოც.

ახლა კი თვით მატჩების შესახებ.

ლენინგრადის „სპარტაკმა“ უსაფუძვლოდ ჩაატარა პირველი მატჩი კიევის „სტროიტელთან“ და ამისთვის დასაჯა კიდეც. მოკაიკის სახელობის აკადემიის ხალხით გაჭედილი სპორტული მანეჟი სამართლიან უკმაყოფილებას გამოთქვამდა თანაქალაქელთა სუსტი თამაშის გამო. მასპინძლები დაფაცურდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მატჩის ბედის შემობრუნება შეუძლებელი იყო. „სპარტაკმა“ თავისი ლიდერობის ჟამს მეტად საჭირო ქულა დაკარგა (51:56).

ანალოგიური სურათი მეორე დღესაც რომ არ გამეორებულიყო, „სპარტაკმა“ მატჩის სადაგეები თავიდანვე ხელთ იგდო. შეხვედრის ბოლო, მეორმოცე წუთამდე იგი მდგომარეობის ბატონ-პატრონი იყო და გამარჯვა კიდეც ღირსეულად — 70:61.

ბაქოს „ბურევესტნიკისა“ და სვერდლოვსკის „ურალმაშის“ შეხვედრებში დაცვაზე, არც ერთი მხარე არ ზრუნავდა, და ეს, სხვათაშორის, ანგარიშსაც დაეტყო: ორივე მატჩი აზერბაიჯანელებმა მოიგეს — 86:75, 80:74.

დაბოლოს, ტარტუს „კალევის“ შესახებ. ესტონელებმა თავის მოედანზე დაამარცხეს კიევის არმიელთა კოლექტივი — 63:48. ამ წარმატებით „კალევი“ მესამე საპრიზო ადგილზე გადავიდა.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	22	15	7	1603—1498	15
„დინამო“ (თბილისი)	20	13	7	1472—1375	13
„კალევი“ (ტარტუ)	21	13	8	1400—1329	13
ასკ (კიევი)	21	13	8	1424—1383	13
„სტროიტელი“ (კიევი)	20	12	8	1297—1280	12
ცსკა	18	11	7	1117—1064	11
ვეფ (რიგა)	22	11	11	1603—1566	11
„უალგირისი“ (კაუნასი)	21	10	11	1510—1506	10
ასკ (რიგა)	20	9	11	1454—1458	9
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	19	8	11	1235—1231	8
„ბურევესტნიკი“ (ბაქო)	22	4	18	1572—1821	4
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	18	3	15	1273—1439	3

ᲛᲝᲛᲐᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩი. თამაშობდნენ ადგილობრივი „ბურევესტნიკი“ და კაუნასის „უალგირისი“. შეხვედრის შედეგია 77:57 (36:33) მასპინძელთა სასარგებლოდ.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

„ᲒᲣᲠᲜᲘᲙᲘ“ ᲣᲙᲔᲗ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲓᲐ

თბილისი. „დინამოს“ სტადიონი. 11 თებერვალი.

„დინამო“ (თბილისი) — „გურნიკი“ (ქ. ზაბეჟ, პოლონეთი) 1:2 (1:1).

„დინამო“: კოტრიკაძე, რეხვიაშვილი, ჭელიძე (კანთელაძე), შერგელაშვილი, ძოძუაშვილი, კუტიავაძე, ილიადი, მეტრეველი, ქორიძე, ქიქავა, მესხი (ლ. ნოდია).

„ᲒᲣᲠᲜᲘᲙᲘ“: კოსტკა (გომოლო), კუხტა, ოსლიზლო, ლატოხა, ფლორენსკი, დეია, ვილჩეკი, ოლტი, მუსიალეკი (გორგონი), ლიუბანსკი, ლენტნერი (სკოვრონეკი).

მსაჯი ა. ზვერევი (ლენინგრადი).

იყო დრო, როცა თბილისის „დინამო“ პოლონეთის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს „გურნიკს“ უმკლავდებოდა სულ იოლად, ყოველგვარ გართულებათა გარეშე. კერძოდ, 1951 წელს თბილისელებმა პოლონეთში ტურნე ჩაატარეს და ზაბეჟში ითამაშეს „გურნიკთან“. მატჩის ანგარიში კომენტარს არ საჭიროებდა: დინამოელებმა გაიმარჯვეს — 4:0.

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა და, როგორც ხედავთ, როლები შეიცვალა. ჩვენი გუნდი საკუთარ მინდორზე მარცხდება „გურნიკთან“, რომელმაც სადღეისოდ დიდი მასშტაბის წარმატებებს მიაღწია და ევროპის საუკეთესო გუნდებს შორის დაიმკვიდრა ადგილი.

რა თქმა უნდა, სერიოზული დასკვნების გამოტანა განვლილი კვირის მატჩიდან არ იქნებოდა სწორი. პოლონელი ფეხბურთელები ახლა მაქსიმალურად მიუახლოვდნენ თავიანთ საუკეთესო საბრძოლო ფორმას ინგლისის ჩემპიონთან — „მანჩესტერ იუნაიტედთან“ შეხვედრების წინ, თბილისელები კი ჯერ მხოლოდ იწყებენ ორმხრივ თამაშებს და ფორმაში ყოფნაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამას გარდა, გუნდის უძლიერესი მოთამაშეები ნაკრებში იმყოფებიან და „გურნიკი“ აშკარად მომგებიან პირობებში ეთამაშებოდა თბილისის „დინამოს“.

მაგრამ დამარცხება, თუნდაც საწვრთნელ მატჩში, დასანანია და მის მიზეზებზე ლაპარაკი აუცილებელი გვგონია.

ჯერ ერთი, არასწორად მიგვაჩნია გუნდის ნახევარდაცვის დაკომპლექტება ერთი ტიპის, ერთნაირი ნაკლის მქონე ფეხბურთელებით. კუტიავაძე, ილიადი და ქიქავა მოქმედებენ ერთი და იმავე მანერით, უმთავრესად ერთფეროვან სამუშაოს ასრულებენ და ამის გამო ამ ხაზში აშკარად იგრძნობოდა მონოტონურობა.

არც ერთ მათგანს არა აქვს საკმარისი სისწრაფე და ამიტომ იყო, რომ შუა მინდორში დაკარგული ბურთი სტუმრების თავდამსხმელებს შეუფერხებლად მოჰქონდათ მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედნამდე და მათი ნახევარმცველებიც (დეია, ვილჩეკი) ხშირად აწყრებდნენ კომბინაციათა გათამაშებას სახიფათო ზონაში. 3 ჰავბეკიდან ერთი მაინც უნდა იყოს შებრძოლი, სწრაფი და გამძლე მოთამაშე.

შემდეგ. საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს იმისა, რომ პოლონელთა უძლიერეს ფორვარდს ლიუბანსკის პერსონალურ დარაჯად მიუჩინეს კანთელაძე. ლიუბანსკის დატოვება უმეთვალყურეოდ არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში. მაგრამ პერსონალური მეურვეობა მოითხოვს უკიდურესად ზუსტ, შეუცდომელ ურთიერთდაზღვევას დაცვაში. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმეს ვერაფერი უშველის. გუშინწინდელ მატჩში ლიუბანსკის თითქმის არც უთამაშია თავის ზონაში. მან დიდი ტაქტიკური ალღო გამოიჩინა — გაჰყავდა კანთელაძე ფლანგზე, იქ იგებდა ბრძოლას და სისტემატურად აწვდიდა ბურთს საჯარიმო მოედნის ცენტრში, იქ, სადაც ალარც კანთელაძე იყო და არც სხვა რომელიმე დამზღვევი მცველი. თბილისელთა მცველებმა ვერაფრით ვერ შეძლეს მოეწესრიგებინათ პერსონალური და ზონალური დაცვის კომპლექსური გამოყენების საკითხი და ვერც ლიუბანსკის პრობლემა გადაჭრეს.

შეტევის ცენტრში თბილისელებს ჰყავდათ ახალგაზრდა ფორვარდი ქორიძე. ის რომ, მან ბრძოლა წააგო „გურნიკის“ დაცვასთან, არაა გასაკვირი. ოსლიზლო და ლატოხა ცნობილი სტოპერებია, რომლებიც უმაღლესი კლასის თავდამსხმელებსაც ადვილად ანეიტრალებენ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ქორიძე არც ცდილა რამე ტაქტიკური გზა გამოენახა ამ ძლიერ მცველებთან საბრძოლველად, თავიდან აეცილებინა პირისპირ შეტაკებანი, მოსცილებოდა მათ და შეექმნა თავისთვის თავისუფალი სამანევრო პოზიცია, გაეშალა თამაში. რასაკვირველია, ოსლიზლოს არ გასჭირვებია მისი შეტევების უვნებელყოფა.

თბილისელებმა შედარებით კარგად დაიწყეს თამაში. პირველი ტაიმის ნახევარი მათ აქტიურად, შეტევით ჩაატარეს და გოლიც გაიტანეს. ეს იყო ძოძუაშვილის სწრაფი გარღვევის შედეგი. მან შორი მანძილიდან გაგზავნა ბურთი კარში, კოსტკამ ვერ შეარჩია ადგილი და გაუშვა გოლი — 1:0.

მაგრამ, როგორც კი პოლონელებმა ჩართეს სისწრაფე და მოუშატეს ტემპს, დინამოელთა უპირატესობიდან აღარაფერი დარჩა. ტაიმის დასასრული და მთელი მეორე ნახევარი უმთავრესად სტუმრების „კარნახით“ მიმდინარეობდა. 39-ე წუთზე ლენტნერმა საუკეთესოდ გამოიყენა ლიუბანსკის გადაცემა და თავით გაქვითა გოლი. ხოლო მეორე ტაიმში ლიუბანსკიმ მარჯვნიდან მოწოდებული ბურთი მკერდზე მიიღო, სწრაფად მიუახლოვდა კარს და ზუსტად გაიტანა მეორე გოლი — 2:1.

„გურნიკმა“ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და მით უფრო საინტერესოა მისი მომავალი შეხვედრა მოსკოვის „ტორპედოსთან“.

ბ. ᲥᲝᲠᲥᲘᲐ.

* * *



სურათზე: განვლილი მატჩის ტიპიური მომენტი. ვ. ლიუბანსკიმ (მუქ მაისურში) ზონიდან გაიყვანა თავისი პერსონალური მეურვე ფ. კანთელაძე, მოიგო ბურთი და აწვდის საჯარიმო მოედანზე ღიად დარჩენილ ზონაში.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

ᲘᲡᲔᲕ ᲝᲠᲘ ᲚᲘᲓᲔᲠᲘ

ᲝᲓᲔᲡᲐ, 12 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). სტუდენტთა საკალათბურთო პირველობის XII ტურში ლიდერებმა წარმატებით ითამაშეს. რ. ჯინჯიხაშვილმა მოუგო რიგელ ა. შმიდტს, ვ. კუპრეიჩიკმა — მოსკოველ ი. ბალაშოვს, ვ. ტუკმაკოვმა — ოდესელ მ. პოდგაეცს, ხოლო გ. კუზმინმა (ლუგანსკი) — ოდესელ ლ. ალბურტს.

საინტერესო იყო ე. სვეშნიკოვისა (ჩელიაბინსკი) და თ. გიორგაძის შეხვედრა. ხუთსაათიანი ბრძოლის შემდეგ პარტია გადაიდო თანაბარ პოზიციაში. დაუმთავრებელი დარჩა აგრეთვე ე. უბილავა — ვ. ცეშკოვსკის (ომსკი) შეხვედრა. თბილისელი ოსტატი მცირე უპირატესობას ინარჩუნებს.

XIII ტურში ერთმანეთს შეხვდნენ პირველობის პრეტენდენტები ტუმაკოვი და ჯინჯიხაშვილი. მსუბუქი ფიგურების ენდშპილში, სადაც ყაიმი იყო მოსალოდნელი, ჯინჯიხაშვილმა უზუსტოდ ითამაშა და მძიმე პოზიციაში აღმოჩნდა. ამას ციატნოტი დაერთო და თბილისელმა წაგო.

კუპრეიჩიკმა დაამარცხა შმიდტი და დაეწია ჯინჯიხაშვილს.

გიორგაძემ ენერგიული შეტევით მოუგო პოდგაეცს. ფაიბისოვიჩმა სძლია სვეშნიკოვს. კვლავ, დამარცხდა გრიგორიანი, ამჯერად, ალბურტთან. ბალაშოვმა მოუგო ტიმოშჩენკოს, კაპენგუტმა — უბილავას. ცეშკოვსკი — კუზმინის პარტია გადაიდო.

13 ტურის შემდეგ ლიდერობენ: რ. ჯინჯიხაშვილი, ვ. კუპრეიჩიკი — 9,5-9,5, ვ. ტუკმაკოვი—9, გ. კუზმინი — 8 (2), ა. კაპენგუტი—7,5 (1), თ. გიორგაძე — 7(1), ვ. ფაიბისოვიჩი — 7.

ᲕᲐᲓᲠᲘᲐᲜᲘ

ᲙᲐᲠᲒᲘ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ახლახან ლუგანსკში, ტაშკენტში (ვაჟები), დონეცკსა და სვერდლოვსკში (ქალები) დამთავრდა სსრ კავშირის „ა“ კლასის II ჯგუფის ფრენბურთელ ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატების I წრის I ტურის შეხვედრები. თვითეულ ქალაქში 8-8 გუნდი თამაშობდა. თბილისის „ბურევესტნიკის“ ვაჟთა კოლექტივი თამაშობდა ლუგანსკში, ხოლო მათი თანაგუნდელი ქალები — დონეცკში.

ჩვენმა ვაჟებმა, ლუგანსკში 6 მატჩი მოიგეს და მხოლოდ 1 წააგეს, 13 ქულა დააგროვეს და ქვეჯგუფში II ადგილზე დამკვიდრდნენ. ქულათა მაქსიმუმით (14) I ადგილზე გავიდა ლუგანსკის „ზენიტი“.

მოგვყავს თბილისელთა მატჩების შედეგები: ლუგანსკის „ზენიტთან“ — 2:3, კიშინიოვის არმიელებთან — 3:0, დაუგავპილსის „დაუგავასთან“ — 3:0, გროზნოს „სპარტაკთან“ — 3:1, ვილნიუსის „დინამოსთან“ — 3:0, ლენინგრადის „დინამოსთან“ — 3:1, ერევნის „დინამოსთან“ — 3:0.

ლუგანსკში დაწესებული იყო 3 სხვადასხვა პრიზი, მათგან 2 თბილისელებს — ნ. თათარაშვილსა და ვ. ასლანიდის ხვდათ წილად.

ჩვენმა ქალებმაც კარგი შედეგები მოიპოვეს. მათ დონეცკში 5 მატჩი მოიგეს, 2 წააგეს და 12 ქულით II ადგილზე არიან, 13 ქულით I ადგილზე გაიმარჯვა დონეცკელი სპარტაკელები. თბილისელთა შედეგები: აშხაბადის უნივერსიტეტთან — 3:0, ალმა-ათის ადა-სთან — 3:0, კრასნოდარის „დინამოსთან“ — 3:0, კიშინიოვის „მოლდოვასთან“ — 3:0, მოსკოვის „ბურევესტნიკთან“ — 2:3, დონეცკის „სპარტაკთან“ — 3:0, დუშანბეს „ტაჯიკისტანთან“ — 2:3.

13-17 მარტს გაიმართება I წრის II ტურის მატჩები. თბილისელი ვაჟები ტულაში ითამაშებენ, ქალები — ბობრუისკში.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲒᲐᲗᲣᲛᲘ

აქ შედგა საინტერესო ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. ადგილობრივმა დინამოელებმა მიიღეს მოსკოვის „ტორპედო“. მიუხედავად ნაწვიმარი მინდვრისა, თამაში სწრაფ ტემპში მიმდინარეობდა. პირველ ნახევარში უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ, რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენეს. დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც, თუმცა 90 წუთი ამოიწურა ისე, რომ ბურთის გატანა ვერ შეძლო ვერც ერთმა მხარემ — 0:0.

გუნდები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: „ტორპედო“ — კავაზაშვილი, ჩუმაკოვი, პახომოვი, ნეპომილუევი, სტენიშევი, შუსტიკოვი, ლენიოვი, სტრელცოვი, შჩერბაკოვი (ბრედნევი), პაისი (ვერშკოვიჩი), შალიმოვი. „დინამო“ — ანდღულაძე (ცვახაძე), ჩხაიძე, სარბილაძე, ქორიძე, გიორგიადი, ილურიძე, ხაბიბულინი, ოვანესიანი, გიორგაძე, ვერულიძე, აპრესიანი. თამაშს სჯიდა ი. რუსეიშვილი (ბათუმი).

Მ. ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ.
(ჩვენი კორ.).

ᲡᲝᲮᲣᲛᲘ

ქუთაისის „ტორპედომ“ საწვრთნელი მატჩი ჩაატარა ადგილობრივ დინამოელებთან. მე-10 წუთზე ანგარიში გახსნა სტუმრების ცენტრალურმა თავდამსხმელმა ხაჟალიამ, ხოლო მცირე ხანში ჭითანავამ კიდევ უფრო დაწინაურა „ტორპედო“ — 2:0. 30-ე წუთზე ქუთაისელები 11-მეტრიანით დაჯარიმდნენ და უზუნიანმა ზუსტად გამოიყენა პენალტი. ტაიმის დასასრულს ხერხაძემ მესამე გოლი გაიტანა — 3:1.

შესვენების შემდეგ ქუთაისელთა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა გახდა, რაც დამთავრდა ჭითანავას მიერ გატანილი 2 ბურთით. მატჩის ანგარიშია 5:1 ქუთაისელთა სასარგებლოდ.

მოწინააღმდეგეებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს: „ტორპედო“ — კვასხვაძე, წივწივაძე, წვერავა, ებრალიძე, ლოსაბერიძე, ასიტაშვილი, ხერხაძე, ვეკუა, ხუციშვილი, ხაჟალია, ჭითანავა. „დინამო“ — ძარატიდი, დარახველიძე, წვიუბა, კ. გოგიშვილი, პავლიჩოვი, გოგიშვილი, უზუნიანი, ეზუბბაია, უნანოვი, ჭკუასელი, დელბა. მატჩს სჯიდა სოხუმელი ა. მილჩენკო.

შ. ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ.
(ჩვენი კორ.).

კილი ტრადიციას არ ღალატობს

სამთოსათხილამურო სპორტს ტუუილად როდი უწოდებენ ყველაზე გაბედულთა სპორტს. წარმოიდგინეთ სათში 130-140 კილომეტრის სისწრაფით მქროლი ადამიანი, რომელიც მხოლოდ აზროვნებით ხედავს მიზანს — რაც შეიძლება სწრაფად მიიჭრას ფინიშთან, ამასთან ისე გაანაწილოს ძალა, რომ წონასწორობა არ დაკარგოს, წუალში არ ჩაუაროს ნაშრომი, თავი საფრთხეში არ ჩაიგდოს. ამიტომაც იყო, რომ გრენობლის ოლიმპიადაზე ყველაზე მეტი მაყურებელი შამრუსის სამთო ტრასებმა მიიზიდა. აქ მსოფლიოს საუკეთესო მოთხილამურე ვაუები ორ დღეს ახპარეზობდნენ გიგანტურ სლალომში.

სპორტის ამ სახეობაში საერთაშორისო წესია: მონაწილენი სიძლიერის მიხედვით ჯგუფებად იყოფიან, უპირატესობა კი საუკეთესოებს ეძლევათ და შეჯიბრებასაც ისინი იწყებენ. ახლაც ასე იყო (თხუთმეტ უძლიერესში სსრ კავშირის გუნდიდან ვერავინ მოხვდა). ტრასაზე პირველნი გავიდნენ აღიარებული ფავორიტები — მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი და მსოფლიოს თახის შარშანდელი მფლობელი, ფრანგი უან კლოდ კილი, მისი თანაგუნდელები გი-პერია, ჟ. მოდიე, შვეიცარიელები ვ. ფაბრი, ე. ბრუგმანი, ვ. კიოლენი, ავსტრიელები კ. შრანცი, ჰ. მენსერი, პ. ბლიმერი, ამერიკელი უ. კიდი და სხვანი.

პირველმა ცდამ უპირატესობა მსოფლიო ჩემპიონს მოუტანა. მან ტრასა 1 წუთსა და 42,74 წამში დაფარა და 1,2 წამით აჯობა ვ. ფაბრის, რომელსაც თავის მხრივ 0,84 წამით ჩამორჩებოდა გი-პერია. ექვსეულში იყვნენ ავრეთვე ჟ. მოდიე, ჰ. მენსერი და კ. შრანცი, მაგრამ გადამწყვეტი სიტუვა მეორე ცდას უნდა ეთქვა. მეორე დღეს სამთომოთხილამურეები იმავე ტრასაზე ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ოღონდ ახლა უძლიერესნი საწინააღმდეგო თანშიმდევრობით (ესეც საერთო წესია) ეშვებოდნენ.

ამჯერად დღის საუკეთესო შედეგი აჩვენა ამერიკელმა უ. კიდიმ — 1.46,46, რომელმაც საბოლოოდ მერვედან მეხუთე ადგილზე (8.32,39) გადაინაცვლა. II ადგილისათვის ბრძოლაში გი-პერიამ (1.47,28) 0,28 წამი მოუგო ფაბრის, მაგრამ წინდლის დანაკარგი ვეღარ აინაზღაურა. ფრანგმა მოთხილამურემ ვერც ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მენსერმა მეორე ცდაზე 0,61 წამით აჯობა მას და ჯილდოც ხელიდან გაუცალა. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნებს უფრო მეტის იმედიც ჰქონდათ: კილის ბრძოლა ჯერ არ დაემთავრებინა და მის შედეგზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. სამთოსათხილამურო სპორტში ხომ ყველაფერი მოსალოდნელია.

მაგრამ კილი კილია და მაინც ზუსტად ისე იარა, როგორც ოქროს მედლის მოსაპოვებლად იყო საჭირო — 1.46.54. ასეთია მისი მეორე ცდის შედეგი.

ზამთრის X ოლიმპიური თამაშები

ჩვენები ლიდერობენ

ყველას ეგონა, რომ ფინელებთან სენსაციური წაგების შემდეგ კანადის გუნდი ისევე დაიბნეოდა, როგორც სტოკჰოლმის მსოფლიო პირველობაში, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. კანადელებმა შესანიშნავად ითამაშეს გდრ-ის გუნდთან — 11:0. ამიტომ მათი მატჩი აშშ-ის ნაკრებთან, რომელიც ოლიმპიადის მეოთხე დღეს გაიმართა, დიდ ინტერესს იწვევდა.

ოდესღაც ოლიმპიური ჩემპიონი— აშშ-ს ნაკრები გრენობლში წარუმატებლად გამოდის. მან ყველა შეხვედრა წააგო, მაგრამ ეს კანადელებს, იოლ გამარჯვებას როდი უქადდა.

ბრძოლა სწრაფ ტემპში დაიწყო. კანადელები ჩქარობდნენ ანგარიშს გახსნას. ისინი არახელსაყრელი მდგომარეობიდანაც ურტყამდნენ კარში, მაგრამ პირველი პერიოდი მაინც წააგეს — 1:2. კანადელი კადიეს შაიბას ამერიკელებმა (პლიუმ და რიუტმა) ორი შაიბით უპასუხეს.

სურათი არც მეორე პერიოდში შეცვლილა. ამერიკელები ახლა უფრო შეთანხმებულად თამაშობდნენ. მხოლოდ მესამე პერიოდში, როცა წაგების საფრთხე შეიქმნა, კანადელებს იერიში იერიშზე მიჰქონდათ. ჯერ ჯონსტონმა გაათანაბრა ანგარიში — 2:2, მერე ბურბონემ გაიტანა გამარჯვების შაიბა — 3:2.

ეს იყო ძნელი მატჩი, რომელშიც თავი ყველაზე მეტად კანადელთა მეკარე ბროდერიკმა იახელა.

შემდეგ უინულის მინდორზე სსრ კავშირისა და გფრ-ის გუნდები გამოვიდნენ. დასავლეთგერმანელი ჰოკეისტები ამერიკელებივით წარუმატებლად თამაშობდნენ. თუმცა მათი მეკარე შრაში ჯერჯეროობით გრენობლის ოლიმპიადის ჰოკეისტთა ტურნირში საუკეთესოდაა აღიარებული.

ინიციატივა თავიდანვე ჩვენმა სპორტსმენებმა იგდეს ხელთ. მათი დიდი ოსტატობა აშკარა იყო და გაიმარჯვეს დიდი ანგარიშით — 9:1.

* * *

სურათზე: კანადისა და ფინეთის ჰოკეისტთა სენსაციური მატჩის ერთი მომენტი. წინ კარგად ჩანს კანადელი ოში (№ 18).

საკდესის ტელეფოტო.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა	12 თებერვლისთვის					
	თ.	მ.	ფ.	წ.	შ.	ქ.
სსრ კავშირი	4	4	0	0	36—3	8
კანადა	4	3	0	1	22—8	6
ჩეხოსლოვაკია	3	3	0	0	14—5	6
შვეიცია	3	3	0	0	14—9	6
ფინეთი	3	1	0	2	8—14	2
აშშ	4	0	0	4	8—22	0
გფრ	4	0	0	4	6—25	0
გდრ	3	0	0	3	2—25	0





ი. რაშკა — პირველი

როცა 70-მეტრიან ტრამპლინიდან ხტომაში ოლიმპიელთა შეჯიბრება დაიწყო, ვინ იფიქრებდა ჩეხოსლოვაკიელი ი. რაშკა კვარცხლბეკის ყველაზე მაღალ საფეხურზე ავიდოდა. ჩემპიონობას ხომ გამოცდილი მხტომელები, მსოფლიო ჩემპიონი ბ. ვირკოლა, ავსტრიელი რ. ბაჰლერი და სხვები უმიზნებდნენ, რაშკა კი ასეთ დიდ ასპარეზობაში პირველად მონაწილეობდა.

მაგრამ რაშკამ ცივი წყალი გადაასხა პროგნოზების მოყვარულთ, შესანიშნავად შეასრულა ორივე ნახტომი და 216,5 ქულით მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონობა.

კარგად იასპარეზა საბჭოთა სპორტსმენმა ა. ეგლანოვმა, რომელიც მეექვსე იყო — 211,5.

სურათზე: ი. რაშკა.

არც ვერცხლია ურიგო

მისტრალის პარკის ხელოვნურსაფარიან საციგურაოზე ქალთა ტურნირის მესამე დღის (პროგრამაში 1.000 მეტრზე რბენა იყო) შეჯიბრების დაწყებამდე ფიქრობდნენ, რომ მაღალი შედეგები ძირითადად სსრ კავშირის, აშშ-სა და ჰოლანდიის მოციგურავეთა ჭიდილს უნდა მოჰყოლოდა, ვინაიდან თეთრ ოლიმპიადაზე საუკეთესო სპრინტერები სწორედ ამ ქვეყნებმა გამოგზავნეს.

რეკორდის ერთ-ერთ ავტორს ასახელებდნენ კიდეც — წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ მსოფლიო ჩემპიონს 1.000 მეტრზე რბენაში ლ. ტიტოვას.

საასპარეზოდ 29 სპორტსმენმა მოიყარა თავი და პირველივე გარბენი მაღალი შედეგით აღინიშნა — ნორვეგიელმა ხ. სუნდბიუმ 1.34,5 აჩვენა. ეს ნიშანი იყო სხვებისთვის, მაგრამ მხოლოდ მანამდე, ვიდრე ლ. ტიტოვა დაამთავრებდა რბოლას. სსრ კავშირის გუნდში ერთადერთი ეს მოხეოველი სტუდენტი გახლდათ ამ ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელი და ცხადია, მსოფლიო ჩემპიონის აქციებმა უფრო აიწია — მისგან ყველა ახალ წარმატებას მოელოდა.

მართლაც ტიტოვა ბრწყინვალე იყო — 1.32,9. ეს შედეგი 0,3 წამით სჯობს ლ. სკობლიკოვას მიერ 1964 წელს ინსბრუკში დამყარებულ რეკორდს და სსრ კავშირის ახალი რეკორდია ბარის საციგურაოებისთვის. ახლა ტიტოვას მაჩვენებელი გახდა მეტოქეთა ორიენტირი. ამ შედეგის გაუმჯობესებას ყველა ფიქრობდა, მიზანს კი მხოლოდ ერთმა — ჰოლანდიელმა კ. ჰეისენმა მიაღწია: მან ტიტოვას ოლიმპიურ რეკორდს 0,3 წამი ჩამოაკლო და ჩემპიონობაც დაისაკუთრა. ტიტოვას ოქროს მედალი ხელიდან გამოაცალეს, მაგრამ არც ვერცხლია ურიგო.

პასუხი სარეკორდო დროში

გრენობლის მთიანეთში ზამთარია, ნამდვილი ზამთარი, თვით ქალაქში კი გაზაფხულის სიო დაჰბერა, წამოწვიმა, ურთი სიტყვით, დათბა. ეს ვერაფერი ნუგეში იყო მისტრალის პარკის ვერცხლისფერ საციგურაოზე გამოსული სტაიერებისთვის. ამ დღეს მოციგურავე ქალთა 13 წყვილი მოემზადა ბოლო მედლებისთვის საბრძოლველად. ვინ გაიკლის უკეთ ყველაზე გრძელ დისტანციას? ბუნებრივია, წინასწარ ამ კითხვაზე პასუხის გაცემას ვერავინ ბედავდა. გაიმარჯვებდა ის, ვისაც ყველაზე დიდი გამძლეობა, მოკნილობა, ოსტატობა და ფსიქოლოგიური მომზადება ექნებოდა. 3.000 მეტრზე (4 წუთი და 56,2 წამი) პირველი იყო და ოლიმპიური რეკორდის მფლობელი გახდა 23 წლის ჰოლანდიელი სტაიერი ა. სხუტი. როგორც ხედავთ, სხუტმა ყველაზე სხარტად უპასუხა ზემოთ დასმულ კითხვას, ამასთან, სარეკორდო დროში.

II ადგილზე გავიდა კ. მუსტონენი (ფინეთი) — 5.01.0, III — ს. კაიზერი (ჰოლანდია) — 5.01,3, IV — კ. კესკივიტიკა (ფინეთი) — 5.03,9, V—ე. ბურგმაიერი (ჰოლანდია) — 5.05,1. ინსბრუკის ოლიმპიური თამაშების ოქროს ოთხივე მედლის მფლობელი ლ. სკობლიკოვა VI ადგილს დასჯერდა — 5,08,0. ა. საბლინა და ლ. კაუნისტე შესაბამისად VIII (5.12,5) და X (5,16,0) ადგილებზე გავიდნენ.

მაშ ახლ, მოციგურავე ქალებმა ოლიმპიური ასპარეზობა დაამთავრეს. ჩვენებს ასეთი ლარიბი „მოხავალი“ ჯერ არც ერთ ოლიმპიადაში არ აუღიათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაჯაუჯის ყაჯლო

ციგურები. 1000 მეტრზე ქალთა რბენა

1. კ. ჰეისენი (ჰოლანდია) — 1.32,6 (ახალი ოლიმპიური რეკორდი);
2. ლ. ტიტოვა (სსრ კავშირი) — 1.32,9 (ახალი საკავშირო რეკორდი);
3. დ. კოლანი (აშშ)—1.33,4;
4. ჰ. მუსტონენი (ფინეთი) — 1.33,6;
5. ი. ეგოროვა (სსრ კავშირი) — 1.34,4;
6. ხ. სუნდბიუ (ნორვეგია) — 1.34,5. ლ. კაუნისტე XI იყო — 1.35,3.

ბობსლეი (წყვილთა სრიალი)

1. ე. მონტი — ლ. დე პაოლისი (იტალია, ოთხი რბოლის ჯამი) — 4.41,54;
2. ჰ. ფლოტი — ჰ. გადერი (გფრ) — 4.41,54;
3. ი. პატურუ — ნ. ნეაგოე (რუმინეთი) — 4.44,46;
4. ე. ტალერი — რ. ბურნხალერი (ავსტრია) — 4,45,13;
5. ტ. ნეში—რ. დიკსონი (დიდი ბრიტანეთი) — 4.45,16;
6. ჰ. ლეგეი — რ. ხამშერი (აშშ) — 4.46,03.

ქალთა ფიგურული სრიალი

1. ჰ. ფლემინგი (აშშ)—1970,5 ქულა;
2. გ. ზაიფერტი (გდრ) — 1882,3;
3. ჰ. მაშკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 1828,8;
4. ა. ნოიესი (აშშ) — 1797,3;
5. ბ. შუბა (ავსტრია) — 1773,2;
6. ჟ. ალმაში (უნგრეთი) — 1757,0...
12. ე. ზჩეგლოვა (სსრ კავშირი) — 1670,4;...
16. ბ. გრეჟიბოვსკაია (სსრ კავშირი) — 1628,5.

სათხილამურო ორთვიდი (ტრამპლინიდან ხტომა და 15 კილომეტრზე რბოლა)

1. ფ. კელერი (გფრ)—449,04 ქულა;
2. ა. კელინი (შვეიცარია) — 447,94;
3. ა. კუნცი (გდრ) — 444,10;
4. ტ. კუჩერა (ჩეხოსლოვაკია) — 434,14;
5. ე. დამოლინი (იტალია) — 429,54;
6. ი. განსენიცა (პოლონეთი) — 428,78;
7. რ. მაკარა (სსრ კავშირი) — 426,92;
8. ვ. დრიაგინი (სსრ კავშირი) — 424,38.

ქალთა სწრაფდაშვება

1. ო. პალი (ავსტრია) — 1.40,87;
2. ი. მირი (საფრანგეთი) — 1.41,33;
3. ა. ჰაასი (ავსტრია) — 1.41,41;
4. ბ. სეიფალდი (ავსტრია) — 1.41,82;
5. ა. ფამოზი (საფრანგეთი) — 1.42,15;
6. ფ. ფილდი (ინგლისი) — 1.42,79;

ჩვენი სპორტსმენებიდან მ. მერკულოვა 27-ე იყო. მ. სუხანოვა — 29-ე, გ. სიდოროვა — 35-ე.

„ოქროს“ გაძვირდა

მიიწურა თვთრი ოლიმპიადის პირველი კვირა. გათამაშდა მედლები პროგრამის 12 სახეობაში. ოლიმპიური თამაშების ავანსცენაზე ყოველდღე ახალი გმირები გამოდიან, გუნდური შედეგების ყულაბებს ძვირფასი ქულები ემატება. საინტერესო ფაქტია: ორი უმაღლესი ოლიმპიური ჯილდო მხოლოდ იტალიელმა სპორტსმენებმა მოიპოვეს (ვაჟთა სათხილამურო რბოლა 30 კილომეტრზე მოიგო ფ. ნონესმა, ბობსლეიში I ადგილზე იყვნენ ე. მონტი და ლ. დე პაოლისი). დანარჩენი ათი ოქროს მედალი 10 სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს ხვდათ, რაც იშვიათია ზამთრის საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებში, ეს ნიშნავს, რომ სპორტი უდიდესი სისწრაფით ვითარდება ჩვენს პლანეტაზე, რომ ოლიმპიადებზე მეტოქეობა სულ უფრო მძაფრი და საინტერესო ხდება.

როგორ გამოდიან ჩვენი წარმომადგენლები? სამწუხაროდ, ჯერჯერობით არც ისე წარმატებით. მხოლოდ მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტი ლ. ტიტოვი იმსახურებს ქებას. მან ოქროს მედალი მოიპოვა 500 მეტრზე მოცეკურაობათა შეჯიბრებაში, და II იყო 1000 მეტრზე რბენაში.

საბჭოთა მოთხილამურეებმა კი ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს წარმატებას ოლიმპიურ ტრასებზე. 30 და 15 კილომეტრზე (ვაჟები), აგრეთვე, 10 კილომეტრზე (ქალები) რბოლაში საბჭოთა სპორტსმენებს პრიზიორთა შორის ვერ ვხედავთ. ვერც ორჭიდელებმა იმარჯვეს. სსრ კავშირის ნაკრებიდან საუკეთესო — რ. მაკარა VII ადგილზე აღმოჩნდა. ინსბრუკის ოლიმპიადაში კი ჩვენმა ორჭიდელებმა ვერცხლის მედალი მოიპოვეს.

კვირას კარგად გამოვიდნენ საბჭოთა ფიგურისტები. წყვილთა შეჯიბრებაში ჩვენი ორი დუეტი ლიდერობს. სავალდებულო პროგრამის შემდეგ წინ არიან მსოფლიოს, ევროპისა და წინა ოლიმპიადის ჩემპიონები ლ. ბელოუსოვა და ო. პროტოპოპოვი. მათ „კვალში“ მიჰყვებიან მოსკოველები ტ. ეუკი და ა. გორელიკი, რომლებიც მსოფლიო 0,3 ქულით ჩამორჩებიან სასელგანძმულ ლენინგრადელებს. ეს დავა გადაწყდება 14 თებერვალს, როცა წყვილები ხუთმეარი პროგრამით გამოვლენ.

... თვთრი ოლიმპიადა 18 თებერვალს დამთავრდება.

(საკ.ესი).

ზამთრის X ოლიმპიური თამაშები

13 თებერვალი
თამაშების პროგრამა ასეთია:

1. **ფიგურული სრიალი.** ვაჟები. სავალდებულო პროგრამა — 10 ს.
2. **თხილამურები.** ქალთა რბენა 5 კილომეტრზე — 12 ს.
3. **თხილამურები.** ქალთა სპეციალური სლალომი — 15 ს.
4. **ჰოკეი.** სსრ კავშირი — შვეცია — 20 ს; კანადა — ჩეხოსლოვაკია — 24 ს.

ტელეეკრანებზე ნახეთ:

1. **ქალთა** შეჯიბრება 5 კილომეტრზე თხილამურებით რბენაში — 11 ს, 45 წ.
2. **სსრ კავშირისა** და შვეციის ჰოკეისტთა მატჩი — 20 ს.
3. **კანადისა** და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა მატჩი — 24 ს.

რადიოთი მოისმინეთ:

1. **X** თვთრ ოლიმპიადაზე — 19 ს, 50 წ.
2. **სსრ კავშირისა** და შვეციის ჰოკეისტთა მატჩის რეპორტაჟი — 21 ს, 40 წ.
3. **კანადისა** და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა მატჩის რეპორტაჟი — 24 ს.

ამ უცნაურმა ქმნილებამ — კატა-ანგელოზმა თუ კატა-მოთხილამურემ ბედნიერება უნდა მოუტანოს საფრანგეთის მოთხილამურეთა გუნდს გრენობლის ოლიმპიურ თამაშებში. მას „ოფიციალურ თილისმას“ უწოდებენ, რადგან ფანტასტური და ჯადოსნური ცხოველია... რაკი ფრთები და უკანა ფეხების მაგვარად თხილამურები აქვს, იგი ნამდვილად „დაეხმარება“ ფრანგებს თოვლიან ტრასებზე და გამარჯვებას მოუტანს მათ.

თოთრი ოლიმპიადის ტალღაზე

● ყველაზე ახალგაზრდა

პრესაში უკვე დაიწერა, რომ ოლიმპიური თამაშების ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ქალი 11 წლის რუმინელი ფიგურისტი ბეატრიჩე ხუშტიუა. ვინღაა ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე ვაჟებიდან?

ესაა გამხდარი, ქერა ბიჭი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოლიმპიური ნაკრების წევრი, ფიგურისტი იან ჰოფმანი. ტანად იგი 147 სანტიმეტრია და 37 კილოგრამს იწონის. იანი 12 წლისაა, მაგრამ უკვე მოიპოვა წარმატება ვესტეროსის ევროპულ ჩემპიონატში. გდრ-ის ნაკრების მწვრთნელს იუტა მიულერს იანი დიდ ტალანტად მიაჩნია. ჰოფმანი კარლ-მარქს-შტადტის სკოლის მეშვიდეკლასელია, ფრიადები აქვს მათემატიკაში, ისტორიაში, გეოგრაფიაში (ეს საგნები ყველაზე მეტად უყვარს) და ექიმობაზე ოცნებობს.

„გრენობლში გამარჯვებაზე, რა თქმა უნდა, არც ვოცნებობ, — ამბობს იანი, — მაგრამ აქ, ოლიმპიადაზე, მე ძალიან ბევრს ვისწავლი“.

● მძიმე ხელოვნება

ოლიმპიადამი გამოსკლა ძალიან ძნელია, მაგრამ არც მისი გადაღებაა იოლი. ლაპარაკია გრანდიოზული ოლიმპიური ფილმის გადაღებაზე, რომელიც ფრანგმა რეჟისორებმა და ოპერატორებმა დაიწყეს.

ამ გადაღებას მარტო დიდი ოსტატობა კი არა, დიდი ვაჟკაცობაც სჭირდება. რეჟისორ ჟილმერ ფუჯინს უნდა გადაეღო სამთომოთხილამურეთა შეჯიბრება სწრაფდაშვებაში. იგი ასპარეზობის დაწყებამდე გადაფრინდა შამრუსის ტრასაზე სპეციალური შვეულმფრენით. რეჟისორს სურდა შეემოწმებინა გადაღებისათვის, რაც მთავარია, ყველაზე ნაკლები სიმაღლიდან გადაღებისთვის ხელსაყრელი პირობები, — მაყურებელმა სპორტსმენთა სახეებიც ხომ უნდა გაარჩიოს. „დაბლა, დაბლა, უფრო დაბლა“, — სთხოვდა ჟილბერი მფრინავს. და აი, მანევრირების დროს მფრინავმა შვეულმფრენი ვერ შეიმაგრა. კიდევ კარგი, სიმაღლე არც ისე დიდი იყო. ჟილბერმა მხარი მოიტეხა და სახე დაიშავა. კარგი დღე არც ოპერატორს დაადგა. და მაინც, ტრასაზე მაშინვე გადაფრინდნენ ჟილბერის კოლეგები, რომ ეს მძიმე შრომა არ შეწყვეტილიყო.

● გრენობლის მეოთხე ვარდი

გრენობლის ოლიმპიურ გერბს სამი წითელი ვარდი ამკობს. ეს ვარდები თითქოს სიმბოლოა იმ ქალაქის სტუდენტთმოყვარეობისა, რომელიც დღეს დედამიწის ასობით საუკეთესო სპორტსმენს მასპინძლობს. ოლიმპიურო თამაშების ორგანიზაციაში თავისი წვლილი შეიტანეს ქალაქის მებაღეებმაც. მაგალითად, ცნობილია, რომ ვარდის 20 ათასამდე სახეობა არსებობს. გრენობლის მეყვავილეებმა ოლიმპიადისთვის საგანგებოდ გამოიყვანეს კიდევ ერთი ჯიში და ამით მეოთხე ვარდი მიუმატეს ქალაქის გერბს.

ალისფერ მზეთუნახავს სახელად „ლოვიტა“ უწოდეს. ახალი ვარდი ჯერჯერობით ძალზე იშვიათია, მაგრამ გრენობლელი მებაღეები ირწმუნებიან, ოლიმპიური თამაშების ყველა პრიზიორი მედალთან ერთად თითო „ლოვიტასაც“ მიიღებსო.

● ვის უფრო უჭირს

ფრანგ სამთომოთხილამურეს — კოლის ბედმა გაუღიმა: პირველი პრიზი მან სამთომოთხილამურეთა შეჯიბრების დაწყებამდე მიიღო. საქმე ის გახლავთ, რომ თამაშების დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე კოლიმ მოიგო სამთომოთხილამურეთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება ჰანენკამენის („მამლის ბიბილო“) პრიზზე. და აი, ახლა 1956 წლის ოლიმპიური თამაშების სამგზის ოქროს მედალოსანმა ტონი ზაილერმა ავსტრიელი ორგანიზატორების დავალებით საპატიო ნადავლი გადასცა ფრანგ მოთხილამურეს.

ცერემონიალი რომ დამთავრდა, სპეციალურმა კორესპონდენტმა ტონი ზაილერმა ტელეფონს მიაშურა. რედაქციას მასალა რომ ჩაბარა ყოფილმა ჩემპიონმა ახლა თავის კოლეგებს მისცა ინტერვიუ.

— ჟურნალისტობა გაცილებით ძნელია, ვიდრე სპორტსმენობა, — თქვა ზაილერმა. ჟურნალისტს მოთხილამურეზე ბევრი დაბრკოლება ელის. ღმერთმანი, ხანდახან პრესცენტრში გაცილებით სწრაფად დავრბივარ, ვიდრე 1956 წელს ოლიმპიურ ტრასებზე დავქროდი.

● მეხიკო — ოლიმპიადის მონაწილე

მონაწილეობს თუ არა ზაფხულის მომავალი ოლიმპიური თამაშების ქალაქი ზამთრის ოლიმპიადაში? ერთი შეხედვით ეს შეკითხვა შეიძლება პარადოქსულადაც მოგვეჩვენოს. მაგრამ მეხიკო მართლა მონაწილეობს ზამთრის თამაშებში. ამ დღეებში გრენობლში დაიწყო მექსიკური ფილმების კვირეული.

კვირეული გახსნა გრენობლის სტუმარმა, ზაფხულის თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტმა პედრო რამირეს ვასკესმა.

„პირველ ყოვლისა მინდა სიამოვნებით აღვნიშნო მშვიდრო კავშირი ამ ორ ოლიმპიადას შორის, — თქვა მან. — ჩვენ საერთო იდეალები, საერთო მიზნები და ამოცანები გვაქვს. მექსიკური კინოს კვირეულის გახსნის დღეს დაე ჩვენმა ხელოვნებამ დათოვლილ გრენობლში ჩვენი მცხუნვარე ქვეყანა მოგაგონოთ. ჩვენი სურვილია, რომ ამ კვირეულმა ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას შეუწყოს ხელი. ეფიქრობ, მექსიკელთაგან ეს იქნება ყველაზე უკეთესი წვლილი ზამთრის ოლიმპიადაში“.



სურათებზე: მარჯვნივ — ქალთა ფიგურულ სრიალში გამარჯვებულნი გ. ზაიფერტი (გდრ), პ. ფლეშინგი (აშშ) და ჰ. მაშკოვა (ჩეხოსლოვაკია). მარცხნივ — ორადგილიან ბობსლეიში ოლიმპიური ჩემპიონები ე. მონტი და ლ. დე პაოლისი დისტანციაზე.

პირველსავე ცდაზე

ლოს-ანჟელოსი. აქ სტუმრად მყოფი საბჭოთა მძლეოსნები წარმატებით გამოვიდნენ ადგილობრივი გაზეთის ინიციატივით მოწყობილ შეჯიბრებაზე. 22 წლის მოსკოველმა სტუდენტმა ვ. გავრილოვმა პირველსავე ცდაზე გადალახა 218 სმ სიმაღლე. ასეთივე შედეგი ჰქონდა ამერიკელ ე. კარაზერს, მან მხოლოდ მესამე ცდაზე შეძლო ამ სიმაღლის დაძლევა. ტ. ტალიშევა პირველობდა სიგრძეზე ხტომაში — 646 სმ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ᲛᲔᲓᲐᲒᲔᲑᲘ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲐᲞᲐᲛᲔᲡ

ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ, 12 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი. სპეც. კორ.) დამთავრდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს პირად-გუნდური ჩემპიონატი სათხილამურო სპორტში. ტურნირში, რომელიც 3 დღეს გაგრძელდა, აჭარის, ახალქალაქის, მესტიის, ბოგდანოვკის, ლენტეხის, ამბროლაურისა და ბორჯომის გუნდები მონაწილეობდნენ. მსაჯთა კოლეგიამ საერთო გუნდური შედეგები ვერ შეაჯამა (უამინდობის გამო ტრამპლინიდან ხტომა არ ჩატარდა) და გადაწყვიტა ეს გააკეთოს საქართველოს პირველობის შემდეგ, რესპუბლიკური ჩემპიონატში სოფლის სპორტსმენების მიერ მოპოვებული მაჩვენებლების გათვალისწინებით.

სხვა სახეობებში შეჯიბრება უმეტესად საინტერესოდ წარიმართა. ოღონდ ეგ იყო: საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლა გაჩაღდა ძირითადად სპორტსმენთა იმ ერთ ჯგუფში, სადაც უძლიერესებმა მოიყარეს თავი. მაგალითად, 5 და 10 კილომეტრზე რბენაში ერთი და იგივე ქალები პირველობდნენ. ორივე დისტანციაზე ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა დაისაკუთრა ლარისა სოლოიანმა (ბორჯომი), რომელმაც შესაბამისად 24.48,0 და 53.28,0 აჩვენა. ორივე სახეობაში მეორე იყო ბოგდანოვკის გუნდის წევრი ა. კაზაკოვა (25 წუთი და 54.20,0). აღსანიშნავია, რომ კაზაკოვა „კოლმეურნის“ ჩემპიონია მძლეოსნურ კროსში.

III ადგილები წილად ხვდა ლ. მაკეევას (ბორჯომი), რომელმაც 5 კილომეტრის გარბენას 26 წუთი და 6 წამი მოანდომა, ხოლო 10 კილომეტრისას — 54 წუთი და 49 წამი.

ვაჟები 15 და 30 კილომეტრზე რბენაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. პირველობა ორივე დისტანციაზე მესტიის გუნდის წევრმა ზ. გულბანმა დაისაკუთრა (59.07,0 და 1:55.19,0).

თავისი ფავორიტები ჰყავდა ტურნირს სამთო სახეობებში. ვაჟებში ესენი იყვნენ ვ. მიქაბერიძე, რომელიც პირად პირველობაში გამოდიოდა, ბორჯომის გუნდის წევრი დ. თვაური და მესტიელი ვ. ნავერიანი. პირველი გიგანტური სლალომი (300 მ, 11 კარი) მიქაბერიძემ მოიგო — 37,1 (მერე იყო თვაური — 38,0); მეორე გიგანტურ სლალომში (300 მ, 15 კარი) თვაურმა იმარჯვა — 32.2 (მიქაბერიძე ამჯერად II ადგილზე გავიდა — 33,0), ნავერიანმა ორივეჯერ III ადგილი მოიპოვა.

სპეციალური სლალომის 150-მეტრიან ტრასაზე 30 კარი იდგა. თვაურმა I ცდით ამ ტრასის გავლას 20,6 წამი, ხოლო მეორე ცდით ზუსტად 20 წამი მოანდომა და გამარჯვებაც მოიპოვა. მიქაბერიძე აქაც II ადგილს დასჯერდა. III ადგილი ბორჯომელ ო. ხანიაშვილს ხვდა.

ქალთა სამთო სახეობებში ტექნიკური შედეგები ასეთია: **სპეციალური სლალომი.** ქ. ჯეირანაშვილი — 55,0, მ. თვაური (ორივე — ბორჯომი) — 58,0, ე. ჯაფარიძე (მესტია) — 59,9; I **გიგანტური სლალომი.** მ. თვაური — 31,1, ლ. გოგოლაძე (ქუთაისი) — 32,9, ქ. ჯეირანაშვილი — 36,0; II **გიგანტური სლალომი.** მ. თვაური — 27,0, ლ. გოგოლაძე — 27,3, მ. წარიტოვა (ბორჯომი) — 29,6.

Თ. ᲛᲘᲥᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ.



კალათბურთი. სპორტის სასახლე. **ვაჟთა გუნდების საკავშირო პირველობა. „ა“ კლასი. დღეს: „ბურევესტნიკი“ (თბილისი) — „ყალგირისი“ (კაუნასი). 14-15 თებერვალი.** „დინამო“ (თბილისი) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი). დასაწყისი 20 ს.

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. **14 თებერვალი.** საერთაშორისო შეხვედრა. „ტორპედო“ (მოსკოვი) — „გურნიკი“ (პოლონეთი). დასაწყისი 16 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 6 უე 03946